



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

## ო კ მ ი № 26

სხდომის ჩატარების დრო:

27 დეკემბერი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.  
ადგილობრივი თვითმმართველობის  
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცდამეექვსე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯულელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, გრ.შუმანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრიძე.

სულ: 35 წევრიდან - 29 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: კ.გურული, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 6 წევრი.

**სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალიაშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბატონი დ.ერემეიშვილი, მერის მოადგილე, ბატონი ი.უგულავა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დ.ნიშნიანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ა.ჩიხლაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი პეტრე ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, მეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი,

ბატონი მ.კუბლაშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი ი.გიორგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი გ.კუჭუხიძე. მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარდგენამდე სხდომაზე გაკეთდა განცხადებები:

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „მოგესალმებით მეგობრებო. მივესალმები მედიის წარმომადგენლებს, დამსწრე საზოგადოებას, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ოპოზიციას, რომელიც ესწრება საკრებულოს სხდომას. დღევანდელი სხდომა არის ძალიან მნიშვნელოვანი. დღეს მივიღებთ გადაწყვეტილებას ქალაქის მთავარი დოკუმენტის შესახებ. ამ დოკუმენტის ირგვლივ ძალიან ბევრი მსჯელობა გაიმართა. უშუალოდ ხალხი მონაწილეობდა ამ ბიუჯეტის შექმნაში. დღეს ჩვენ გვაქვს ბიუჯეტის პირველადი პროექტი, რომელიც აუცილებლად იქნება მზარდი. ყველა პუნქტში და ყველა პროგრამულ ნაწილში ჩვენ გვაქვს ზრდა. განსაკუთრებული ცვლილებები გვაქვს სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც ინფრასტრუქტურას, სოციალურ პროექტებს, ჯანდაცვის მუხლებს შეეხება. შეეხება კულტურის, სპორტის, ახალგაზრდების მხარდამჭერ პოლიტიკას. ის პრიორიტეტები, რომლებიც დავსახეთ ბიუჯეტის ფორმირებისას, ორიენტირებულია მოსახლეობის საჭიროებებზე, მოქალაქეების ინტერესებზე. მე კონკრეტული მაგალითი შემიძლია მოვიტანო, უშუალოდ მოქალაქეების მონაწილეობით, მათი ინიციატივის საფუძველზე, ადამიანები, რომლებიც ემსახურებიან ქუთაისს 24 საათის განმავლობაში და სწორედ ეს ერთ-ერთ საკითხად

გვაქვს დღის წესრიგში, მიეცემათ უფასოდ მგზავრობის გარანტია. მოქალაქეებს ეძლევათ გარანტია მიიღონ მონაწილეობა მათი ინტერესების დაცვაში. თავად მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რა საჭიროებები გააჩნიათ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში, სოციალური, ჯანდაცვის თუ ახალგაზრდული პოლიტიკის მხრივ. ბიუჯეტის პროექტში არის მუხლები, რომელიც უშუალოდ პასუხობს მოქალაქეების ინტერესებს. ეს არის თავისუფალი ინიციატივების პროგრამა, რომელიც მილიონ ლარს შეადგენს. სოციალური და ჯანდაცვის ნაწილში ეს არის გადაუდებელი რეაგირების პროგრამა, რომელიც გაიზარდა 60 პროცენტით. ინფრასტრუქტურის ნაწილში ბინათმესაკუთრეთა მხარდასაჭერად ჩვენ გავაერთიანეთ პროგრამები და ამხანაგობებს მივეცით საშუალება, რომ მათ მიერ წარმოდგენილი საჭიროებები მაქსიმალურად იყოს მუნიციპალური მეთვალყურეობის ქვეშ, დაფინანსდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან და მხოლოდ რაღაც მცირედი ნაწილი რჩება. ეს შეეხება ლიფტების რეაბილიტაციას, რომელთა თანამონაწილეობაში პასუხისმგებლობის ნაწილი რჩება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას. ჯანდაცვის ნაწილში, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის ნაწილი, ჩვენ ავიღეთ კონკრეტული ვალდებულებები და ამის შესაბამისად ვახორციელებთ იმ პროგრამებს, რაც მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერას ითვალისწინებს. აქ გენდერული პოლიტიკაც და მიმართულებაც აქტუალურია. ჩვენ შევცვალეთ ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ ქუთაისში რეგისტრირებულ მოქალაქეებს ეხებოდა. ეს გარკვეული ხელისშემშლელი პირობა იყო და რეგისტრაციის მიუხედავად, ოჯახის ძალადობის მსხვერპლთა მიმართ გაიცემა სოციალური და ჯანდაცვითი პროგრამების დახმარება. ასევე, სხვადასხვა მიმართულებით, იგივე შშმ პირების, მრავალშვილიანი დედების, სხვა მრავალი სპექტრის და მოწყვლადი ჯგუფისათვის. ბევრ პოლიტიკურ მიმართულებას მოიცავს ეს ბიუჯეტი. რომ აღარ ვისაუბრო ინფრასტრუქტურის ნაწილზე, იმ პასუხისმგებლობებზე, რომელიც ჩვენ გვაქვს. სრულად შეიცვალა აუდიტის სამსახურის პოლიტიკა, მოსაკრებლის პოლიტიკა. ვფიქრობ, რომ ეს ბიუჯეტი პასუხობს მოსახლეობის ინტერესებს. ეს პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, ბევრ ფაქტორში იკვეთება. პრიორიტეტების განსაზღვრაში აქტიურად იყვნენ ჩართული საკრებულო, მოქალაქეები, სხვადასხვა სექტორები, სამთავრობო თუ

არასამთავრობო სექტორი. ჩვენ მოვახერხეთ ბიუჯეტის პირველადი ვერსიის განხილვა მოქალაქეებთან. მივიღეთ მათგან უკუკავშირი. ყველა ის ინიციატივა, რომელიც მოქალაქეების მიერ იქნა წარმოჩენილი, ასახულია ბიუჯეტის პროექტში. ამავდროულად, მე უნდა აღვნიშნო საკრებულოს როლი, თითოეული დეპუტატის როლი, პირველ რიგში ანგარიშვალდებულების ნაწილში. ჩვენ მოქალაქეებს ჩავაბარეთ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. ამ შეხვედრებისა და ასევე უშუალოდ მოქალაქეებისგან მივიღეთ არაერთი იდეა, რომელიც აისახა სხვადასხვა კომისიების მიერ შემუშავებულ ინიციატივებში და ეს წარედგინა აღმასრულებელ ხელისუფლებას. ჩვენ ეს არ მოგვიტანია მოსაზრებებისა და პირადი ინიციატივების საფუძველზე. ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ეფუძნებოდა მოქალაქეებისგან მიღებულ ინფორმაციას, შეხვედრებიდან, კვლევებიდან, სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე. ამ ინიციატივების წარმოდგენილი ძირითადი ნაწილი გვაქვს დღეს ბიუჯეტის პროექტში. დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანას აქვს განსაკუთრებული სტატუსი ჩვენი მოსახლეობის, საზოგადოებისა და მთავრობის სრული შემადგენლობის ძალიან დიდი ძალისხმევის შედეგად, მოვიპოვეთ ევროპის კანდიდატის სტატუსი და ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა. სწორედ ჩვენი პოლიტიკური გუნდის მიერ იქნა ჩაწერილი ევროინტეგრაციის მუხლი. ჩვენი პოლიტიკური გუნდის მიერ იქნა ჩაწერილი კონსტიტუციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის მიზანსწრაფვის. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მაქსიმალური გააკეთა იმისათვის, რომ მოქალაქეების საუკეთესო ინტერესები იქნეს დაცული ქალაქის მთავარ დოკუმენტში. რა თქმა უნდა, არსებობს ბევრი გამოწვევა და ბევრი ის საკითხი, რომელიც შეიძლება ჩვენ დღეს ვერ გადავწყვიტოთ. თუმცა ჩვენი პოლიტიკური გუნდი, პარტია „ქართული ოცნება“ ორიენტირებულნი ვართ ვუპასუხოთ მოქალაქეების საჭიროებებს. ჩვენ ვართ სწორედ ის გუნდი, რომელიც თანხვედრაშია ჩვენი ქვეყნის ფასეულობებსა და ღირებულებებში. მე ასევე მინდა მივმართო ოპოზიციურ სპექტრს. მე ვიცი, თქვენი მონაწილეობა სხვადასხვა ფორმატში. თქვენ აქტიურად მუშაობდით საკრებულოს კომისიებში. არის კომისიები, სადაც ჩვენს შორის შეხების წერტილები არის ძალიან მგრძნობიარე. ამის არაერთი მაგალითი შემიძლია დავასახელო, მათ შორის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში, გენდერული

თანასწორობის საბჭოში, სადაც ამ პოლიტიკის მიმართ მგრძობელობა მაღალია. ასევე, მნიშვნელოვანია საფინანსო - საბიუჯეტო კომისიაში თქვენი მონაწილეობა, ინიციატივები, რომლებიც მომდინარეობდა თქვენგან, ოპოზიციის წარმომადგენელი საკრებულოს წევრებისგან. სამწუხაროდ, მე ამ ადამიანებს არ ვხედავ აქ. ჩვენ ამ პლურალურ გარემოში, დემოკრატიის მაღალი სტანდარტით, საერთო ინტერესების ერთმანეთთან მიახლოებით, საერთო პოლიტიკის გაერთიანებით უნდა მივალწიოთ საუკეთესო შედეგს. უნდა დავასრულოთ ის დრო, როდესაც ჩვენ ერთმანეთთან ესკალაციით უნდა ვისაუბროთ. ჩვენ უნდა ვისაუბროთ საჭიროებებზე. ჩვენი პოლიტიკური გუნდი და მე როგორც, საკრებულოს თავმჯდომარე მზად ვართ, კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის, თუმცა არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, პოლიტიკური მიმართულებების სხვაობები, რომელიც ჩვენ რაღაც ფორმით შეიძლება დავაახლოვოთ. ეს განცდა ყოველთვის იარსებებს. მე მინდა, მოგიწოდოთ დღევანდელ სხდომაზე ძვირფასო კოლეგებო, ვიყოთ კონსტრუქციულები. პატივი ვცეთ ქუთაისის მოსახლეობის, თითოეული ადამიანის ინტერესს. ერთმანეთს ვადროვოთ საუბარი. აქ ბრძანდებიან აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო ქალაქის ვიცე მერს, დავით ერემეიშვილს. ცნობილია, მისი ძალიან დიდი კომპეტენცია, როდესაც ორივენი ვასრულებდით ქალაქის მმართველობით ნაწილში მოვალეობას და ჩვენი ურთიერთობა იყო მხოლოდ და მხოლოდ კონსტრუქციულ პარიტეტზე დამყარებული. ეს მაგალითი მე განსაკუთრებულად მახსოვს და პირადად მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ დავითს. ასევე ბატონ იუზა უგულავას, რომელიც უშუალოდ არის პასუხისმგებელი ბიუჯეტის პროგრამულ ნაწილზე, ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილზე და შესრულებაზე. მადლობა თითოეულ სამსახურს, რომელიც ბიუჯეტის პროექტზე მუშაობდა და მე მივმართავ ოპოზიციურ სპექტრს. ჩვენ გვაქვს საშუალება კიდევ ერთხელ კონსტრუქციულ ნაწილში ვიმსჯელოთ ბიუჯეტის პროექტზე, თითოეულ თქვენს ინიციატივაზე, თითოეულ თქვენს წინადადებაზე. მე მინდა, ამით დავასრულო ეს ნაწილი, მადლობა მინდა გადავუხადო მოქალაქეებს, სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებს, აკადემიური წრეების წარმომადგენლებს, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს, რომლებიც

უმუალოდ მონაწილეობდნენ თავისი ინიციატივით ბიუჯეტის შექმნის პროცესში. აქვე მინდა მოგილოცოთ დამდეგი ახალი წელი. მე ვფიქრობ, 2023 წელი საკმაოდ რთული გამოწვევების და სამწუხაროდ, ძალიან დიდი ტრაგედიის წელი გახლდათ. ეს არის შოვის ტრაგედია, ოზურგეთის ტრაგედია. ეს დანაკლისი მძიმეა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ მიიღო. ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციულ საზღვრებთან მოქალაქეები დაიღუპნენ და ეს არის სამწუხარო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ აუცილებლად მივალწევთ ქვეყნის დეოკუპაციას. აუცილებლად მივალწევთ იმას, რომ საქართველო იყოს მთლიანი. ჩვენ აუცილებლად მივალწევთ იმას, რომ საქართველო იყოს უსაფრთხო ქვეყანა, სწორედ იმით, რასაც ქვია პლურალური გარემო, აზრთა სხვადასხვაობა და ეს ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს მოქალაქეების საუკეთესო ინტერესებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონო ირაკლი, მინდა, თქვენს პათოსს გამოვეხმაურო. საუბრობდით ქუთაისელი ამომრჩევლის პატივისცემაზე. პირველ საკითხად განვიხილავთ ქუთაისის მთავარ დოკუმენტს, ეს არის ქუთაისის ბიუჯეტი. ამაზე დიდი დოკუმენტი არ არსებობს და მეორე - მნიშვნელოვანი, როდესაც ქალაქის მერი წარადგენს თავისი საქმიანობის ამსახველ დოკუმენტს. თუ პატივისცემაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია, ამ დოკუმენტს საკრებულოს სხდომაზე წარმოადგენდეს ქალაქის მერი. ეს არის პატივისცემა საკრებულოს წევრებისადმი. არ ვიცი, მივლინებაში გაუშვით, როგორც ყოველი საკრებულოს სხდომის წინ, თუ გადამალული გყავთ სადმე. მე არ მინდა, მერიის მოადგილეებმა იფიქრონ, რომ ისინი ვერ წარმოადგენენ დოკუმენტს. ციფრებთან დაკავშირებით მათ კომპეტენციაში ეჭვი არ მეპარება. უბრალოდ, არ შეიძლება ქუთაისის მერი ემალებოდეს ქუთაისის საკრებულოს წევრებს, ემალებოდეს ამომრჩევლებს, ემალებოდეს მოქალაქეებს. ეს არის სირცხვილი. მე იმედი მაქვს, რომ როდესაც მე-4 საკითხის განხილვის დრო იქნება, მისი ხელფასის მატების დროს, მაშინ მაინც მოვა, თავისი ხელფასის განხილვას მაინც დაესწრება. ამ დოკუმენტს უნდა წარმოადგენდეს ქალაქის მერი და ეს იქნება თითოეული ჩვენგანის, მათ შორის თქვენი პატივისცემა. სამხედრო სავალდებულო სამსახური ხომ არაა, ძალით, რომ გაეწვია ვინმეს. რამდენი რესურსი დახარჯეთ წაგებული არჩევნები, რომ თქვენს

სასიკეთოდ შემოგებრუნებინათ. ათასი ვინმე არბენინეთ. მშვენიერი სიტყვა იყო ბატონო ირაკლი, მაგრამ ეს სიტყვა ქალაქის მერს უნდა წარმოეთქვა. ძალიან სწორი მესიჯები გქონდათ, მაგრამ გაცვალეთ ადგილები ბატონებო, მშვენივრად გამოგდით ეგ ამბავი, თუ არ უნდა ქალაქის მერს მოვალეობის შესრულება და უნდა მედლები ჩამოიკიდოს, ან ზესტაფონის საპატიო მოქალაქეობაზე გაიქცეს, რომ რაიმე ჯილდო მისცენ. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს არის ქალაქ ქუთაისის მოსახლეობის შეურაცხყოფა და პირველ რიგში, ქუთაისის საკრებულოსი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე**: „მოგესალმებით ყველას. როდესაც ქალაქის მთავარ დოკუმენტს განვიხილავთ, ქალაქის მერი აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ამ განხილვას. მე კი ვიცი, რომ მერის მოადგილეები გაგვცემენ კითხვებზე პასუხს, მაგრამ ქალაქის მერი, რომ ყოფილიყო, კარგი იქნებოდა. დემოკრატიული სახელმწიფო დგას ორ მთავარ პრინციპზე. ეს ორი მთავარი პრინციპი და ღირებულება არის საკუთრება და თავისუფლება. ჩემი ინფორმაციით, რამდენიმე საათში დაიწყება კაფე „სავანეს“ დემონტაჟი. მე ამ თემის სამართლებრივ ნაწილში არ შევდივარ, მაგრამ მეპატრონეებს მინდა სოლიდარობა გამოვუცხადო. რაც შეეხება ქუთაისის ბიუჯეტს. ამ ფინანსურ დოკუმენტზე ბევრი, რომ არ ვისაუბრო, მოკლედ ვიტყვი. ეს ფინანსური დოკუმენტი გათვლილია 2024 წელზე. ამ ბიუჯეტის შრომის ანაზღაურება შეადგენს 48 %-ს. თქვენ მოგიწევთ მინიმუმ 2 თანამშრომლის დამატება ანუ საარჩევნო რესურსს ზრდით. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ქალაქის ცენტრში ვხედავთ მუზეუმის რეაბილიტაციის პროცესს, რომელიც მილიონობით ლარი დაჯდა. ჯერ სამ კედელს ინარჩუნებდით, შემდეგ - ორს. თავზე გვენგრევა „ოქროს ჩარდახი“. აქედან გამომდინარე, მე და ჩემმა მეგობრებმა მივიღეთ გადაწყვეტილება და მოვუწოდებთ ყველა იმ ადამიანს, ვინც ოპოზიციაშია, ნუ ჩაერთვებიან ამ ბიუჯეტის განხილვაში. დავტოვოთ „ქართული ოცნება“ მარტო მის ამომრჩეველთან ერთად.“

(პოლიტიკური პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა: გ.კილაძემ, ქ.ხურციძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ბახტაძემ და თ.მესხმა სხდომა დატოვეს)



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი ანა კობხრიძე (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მოგესალმებით ყველას. დამდეგ ახალ წელს გილოცავთ. მერამდენე საკრებულოს სხდომაა, ვიდეო მასალები ამოიღეთ და ნახეთ, რომ მე ვითხოვ ქალაქის მერი დაესწროს საკრებულოს სხდომას. ის არის პასუხისმგებელი ყველა ქუთაისელზე. არავის თავს არ მოუხვევია მისთვის ქალაქის მერი ყოფილიყო. არჩევნების შედეგები კარგად ვიცით და მან ყველაზე ცოტა ხმა საკუთარ უბანში მიიღო. ესე იგი, მას თვითონ სურდა ყოფილიყო ამ ქალაქის თავი. მისთვის ეს არავის არ უთხოვია. ორი წელი ვხედავ მარტო იმას, რომ ქალაქის მერი ამბობს, რომ უნდა მოიმატოს ხელფასი. წელს ისიც არ იკადრა, რომ მოსულიყო და ანგარიში ჩაებარებინა მოსახლეობისათვის. მე 27 ათასზე მეტი ამომრჩეველი მყავს. ისინი უყურებენ საკრებულოს სხდომას პირდაპირი ეთერით და ხედავენ, რომ ქალაქის მერი არ ესწრება ბიუჯეტის განხილვის პროცესს, რომელიც ამ დროს ალბათ სადღაც საუბრობს, რომელიღაც რესტორანში და არ იკადრა მოსულიყო. გთხოვთ, გამაგებინეთ სად არის ეს კაცი? არის ვინმე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მიპასუხებს? ახლა ვითხოვ კატეგორიულად, სანამ არ შემოვა ქალაქის მერი, არავითარ ბიუჯეტზე არ იქნეს საუბარი. შემოვდივარ წინადადებით, დაისვას ქალაქის მერის იმპიჩმენტის საკითხი. ნუ ჩაიქირქილებთ, არ გაქვთ სასაცილოდ საქმე. არ არის ქუთაისის მოსახლეობა თქვენი დასაცინი. მობრძანდეს ქალაქის მერი და სანამ არ მოვა, არ გაგრძელდეს საკრებულოს სხდომა.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „პირველ რიგში, რაც შეეხება დასწრება - არდასწრების საკითხს, საკრებულოს უმრავლესობა, ფრაქცია „ქართული ოცნება“, აღმასრულებელი გუნდი სრულად არის პასუხისმგებელი ქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტზე. მათ შორის, ქალაქის მერის მონაწილეობით. ბიუჯეტის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოში, ხელმოწერილი არის ქალაქის მერის მიერ. ჩვენ ვართ ერთი გუნდი, ერთი პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილი თანამდებობის პირები, რომელიც ქუთაისის მოსახლეობამ აირჩია. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ჩვენი პოლიტიკური გუნდი, მისი წარმომადგენლობითი უმრავლესობით საკრებულოში, პოლიტიკური თანამდებობის

პირები, რომლებიც წარმოადგენენ აღმასრულებელ ხელისუფლებას, სრულად არის პასუხისმგებელი აღნიშნულ ბიუჯეტზე, მათ შორის ქალაქის მერიც. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს ბიუჯეტი საკრებულოში წარმოდგენილია ქალაქის მერის ხელმოწერით. ბიუჯეტის დამტკიცების და შესრულების ნაწილში საკრებულო სრულად იღებს პასუხისმგებლობას. რაც შეეხება, ქალაქის მერის მონაწილეობას დღეს საკრებულოს სხდომაზე, ეს მისი დისკრეციული უფლებაა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი ანა კობრიძე (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თქვენ რომ იყოთ ქალაქის მერი ბატონო ირაკლი, არ მოხვიდოდით? აუცილებლად მოხვიდოდით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „პატივი ვცეთ თოთოეული ადამიანის გადაწყვეტილებას. პოლიტიკური შეფასებები თქვენი იყოს. მე გითხარით, რომ პასუხისმგებლობა „ქართული ოცნების“ გუნდთან ერთად აქვს ქალაქის მერს, ვინაიდან ბიუჯეტის პროექტი აქვს წარმოდგენილი ქალაქის მერს. ქალაქის მერი 3 დღის უკან მოსახლეობის წინაშე წარსდგა ანგარიშით. ანგარიშვალდებულების ნაწილში აქვს ქალაქის მერს პასუხისმგებლობა. აუცილებლად წარსდგება ქალაქის მერი საკრებულოს წინაშე ანგარიშით. მე ამის პირობას, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, გაძლევთ. რაც შეეხება იმ საკითხებს, რომელზეც თქვენ საუბრობთ, იგივე ხელფასების ნაწილში, მესმის, რომ ეს საზოგადოებისათვის საინტერესო და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენ ახლა ამ გადაწყვეტილებას არ ვიღებთ საკუთარი ინიციატივით, ეს ხომ განსაზღვრა საკანონმდებლო ორგანომ, კანონმა. მათ შორის, ეს საბიუჯეტო კოდექსში პირდაპირ ჩაიწერა. ეს არ ეხება მარტო ირაკლი შენგელიას. ეს ეხება იმ ადამიანებს, რომლებიც 24 საათის განმავლობაში ქმნიან ბენეფიტს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი გრიგოლ შუშანია (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ჩვენ თანამშრომლებზე არ ვსაუბრობთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი იუზა უგულავა: „დეზინფორმაციას ეწევით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ჩვენ არ გვეხება ეს და გუშინ ტელევიზორი, რომ ჩაგერთოთ, ყველა არხზე ამ თემაზე ვსაუბრობდით. ამ პოლიტიკურ თაღლითობაზე ვამბობდი ზუსტად. დათა თუთაშხიასი არ იყოს: „მეტი უკეთესი ვერ მოიფიქრესო“. თქვენთან ერთად ალიანსში რომ დარჩნენ სამწუხაროდ და ხელფასებს, რომ აიღებენ ისე, წინა რომ აიღეს და არ ეკუთვნოდათ, თან „ნაციონალურ მოძრაობას“ ფრაქციას ართმევენ. თურმე მე, ქალბატონი ხათუნა, ანა კობრიძე, კახა გაბუნია, ლაშა შალამბერიძე ფრაქციიდან იმიტომ უნდა გაგვრიცხონ, რომ ხელფასები აიღონ. წავიდნენ, იმიტომ რომ შერცხვებოდათ ამ საკითხზე აქ ყოფნა. მე სწორედ ამის სათქმელად დავრჩი და კიდევ ვამბობ, რომ ჩვენ არ ვსაუბრობთ თანამშრომლებზე, მეუბოვეებზე. ჩვენ ვსაუბრობთ ადამიანზე, რომელიც საკრებულოს სხდომაზე არ დადის. ამ ადამიანებს უფრო მეტი ეკუთვნით. 24 საათი მუშაობენ ქარსა და ყინვაში, თუმცა აქ რამდენი ადამიანი გყავთ გაფორმებული ტყუილად. თათბირი, რომ დაგეგმოთ სტადიონი დაგჭირდებათ, სხვაგან ვერ დაატევთ ამდენ ხალხს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა**: „შენ რომ იყავი ვიცე-მერი, მაშინ მერიაში 600 თანამშრომელი მუშაობდა. დღეს მუშაობს 360 და კიდევ ამბობთ, რომ აქ უსაქმურები მუშაობენ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მე საერთო ჯამზე ვსაუბრობ, აიპები რომ შექმენით. გენერალური ინსპექციის ბიუჯეტი 400 ათასი ლარით დაიწყეთ და მილიონზე ადით. ტრანსპორტის სამსახური აქ იყო და ცალკე გამოუყავით შენობა. აბა დათვალეთ, რამდენი ადამიანი დასაქმდა. ჯამში რამდენი გაიხარჯებოდა, 45 მილიონი წლიურად?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა**: „არასწორად მსჯელობთ, ტელევიზიებისთვის საუბრობთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მერის განცხადებები მოისმინეთ, სულ რომ წუწუნებს 5 ათასი ლარი არ მყოფნისო. ევროკავშირს

დააბრალა მოსახლეობის გადინება, თითქოსდა ჩვენი მოქალაქეები გამოცდილების გასაუმჯობესებლად მიდიან უცხოეთში. მე მესმის ბატონო იუზა, რთულია გყავდეთ სულელი უფროსი და მის სისულელებზე აკეთო კომენტარები. ვყოფილვარ მეც მოადგილე.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „მე ა(ა)იპების თემაზე წინა სხდომაზე გავაკეთე განცხადება. არ მიყვარს შედარებები წლების მიხედვით, მაგრამ როდესაც კონკრეტულ საკითხზეა საუბარი, მიწევს ამ შედარებების გაკეთება. ის, რომ ბოტანიკური ბაღი გადის ცალკე ა(ა)იპად, ის რომ ოლიმპიური აუზი - ასევე, რომ განავითაროს ქალაქის ინტერესები და მსგავსი მასშტაბის სპორტული ინფრასტრუქტურა არ ყოფილა აქამდე. ჩვენი ერთ-ერთი ინიციატივა იყო ის, რომ ადამიანებმა ისარგებლონ იმ სერვისით და ოლიმპიურმა აუზმა ამ ნაწილში უნდა შეძლოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება, თავად განსაზღვროს თავისი პოლიტიკა. ახლა ამბობთ ბიუროკრატის ზრდით და ა(ა)იპებს ქმნით. დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ადგილობრივ თვითმმართველობაში საშტატო ნუსხა მცირდება. სახელფასო ნაწილი განსაზღვრა საბიუჯეტო კოდექსმა. ეხება თითოეულ ადამიანს, რომელიც დასაქმებულია საჯარო სამსახურში. 10 %-იანი ზრდა შეეხო ირაკლი შენგელიას, ქალაქის მერსაც და უარი ვთქვათ? ამ ხელფასის 90% რჩება იქ, სადაც ჩვენ ვმუშაობთ.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი იუზა უგულავა:** „ის, რომ ჩვენ ა(ა)იპ - ები შევქმენით წინასაარჩევნოდ, არ არის მართებული. საუბარია სულ 4 და 5 ერთეულზე, რაც აუცილებელია დამოუკიდებელი სტრუქტურისათვის. ეს იქნება ბუღალტერია და შესყიდვები.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ბატონი გიორგი გავიდა და არ მინდა ეს კომენტარის გარეშე დავტოვო. ვგულისხმობ, კერძო საკუთრების დაცვის ნაწილს. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, აქ ბრძანდებიან ადამიანები, რომელსაც ეს პოლიტიკური ჯგუფი უყენებს ბრალდებებს. ცოცხალი მაგალითები არსებობენ და დღეს ისინი პასუხს არ გცემენ, თუ როგორ იცავდა მაშინდელი ხელისუფლება საკუთრების უფლებას. მაშინ,

როდესაც არსებობს სამართლებრივი გადაწყვეტილება, იქ პოლიტიკური განცხადებები არ უნდა ვაკეთოთ. როდესაც ეს მოქალაქეები იყვნენ ჩვენთან მოსული, ორჯერ მიეცათ ამ მოქალაქეებს საშუალება საკუთარი პოზიცია გამოეხატათ. საკრებულო არ არის ის ორგანო, რომელიც აღიარებს საკუთრებას. იურიდიულად არ არსებობს ასეთი მცნება. ორად ორი სტრუქტურა ადგენს საკუთრების უფლებას: სასამართლო და საჯარო რეესტრი, როდესაც არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება, ვცდილობ მის განხილვაში არ შევიდე. დამოუკიდებელი უნდა იყოს სასამართლო პოლემიკისგან, პოლიტიკური განხილვებისგან. ჩვენი პოლიტიკური გუნდი, მათ შორის, ქალაქის მერი პასუხისმგებელია ქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი ანა კობხრიძე (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თქვენ, როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს და „ქართული ოცნების“ წევრებს ეს მოგწონთ? ამით მან, არამარტო ქალაქის მოსახლეობას, არამედ, თქვენც მოგაყენათ შეურაცხყოფა, რომ ყველაზე დიდი საკითხის განხილვაზე არ იკადრა, მოსულიყო. გამეცით პასუხი, თავს შეურაცხყოფილად არ გრძნობთ?“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „შეურაცხყოფის ნაწილში გიპასუხებთ, რომ - არა. გაგეცით ამ კითხვაზე პასუხი, ვინაიდან ჩვენ ვართ ერთი პოლიტიკური გუნდი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი ანა კობხრიძე (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „აქ მე ვხედავ ბევრ პროფესიონალ ადამიანს, ბევრ ღირსეულ პიროვნებას, რომლებსაც პატივს ვცემ. რატომ ამდღევთ უფლებას შეურაცხყოფა მოგაყენონ, ან რას ეუბნებით იმ ხალხს, ვინც ტელეკომპანია „რიონს“ უყურებს? რატომ არ არის ქალაქის მერი, სადილობს, ვახშობს? მე, როგორც 27 ათასი ამომრჩევლის კანდიდატი გეუბნებით, რომ ხელფასი მოემატოს კი არა, რაც აქვს, ისიც უნდა ჩამოერთვას. რას ეტყვით მე-17 სკოლის მოსწავლეებს სველი ფეხებით, რომ დადიან სკოლაში. ტბა დგას სკოლის წინ. ბატონო იუზა, ანტონ ჩიხლაძე მივიდა სკოლასთან, შეამოწმა, მითხრა, რომ არის პროექტი, გეგმა შედგენილია, მაგრამ არის თაროზე, იმიტომ რომ ფული არ არის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი თეიმურაზ ნადირაძე: „აზრთა სხვადასხვაობა იქნება, სალაპარაკოს ვერ გამოვლევთ. ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გვაქვს დღეს. მთავარ ფინანსურ დოკუმენტს ვიღებთ და გთხოვთ, გადავიდეთ დღის წესრიგზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი ანა კობრიძე (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „არ მოგცემთ ამის უფლებას. ვის უმატებთ ხელფასს? ადამიანს, რომელსაც ორ ბატს არ ჩავაბარებ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი თეიმურაზ ნადირაძე: „დოკუმენტი გამოგზავნილია მერის ხელმოწერით და არის უკვე მისი პასუხისმგებლობა. გადავიდეთ დღის წესრიგზე და ვუყაროთ კენჭი.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
26-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26-ე სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი  
სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და  
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი პეტრე ადამაძე  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი  
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული

სამსახურის ხელმძღვანელი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის №24 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალიშვილი  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი პეტრე ადამაძე  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი  
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული  
სამსახურის ხელმძღვანელი

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის № 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალიშვილი  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი პეტრე ადამაძე  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი  
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული  
სამსახურის ხელმძღვანელი

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ბატონი ივანე ჟორჯოლიანი  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
აპარატის უფროსი

6. „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M<sup>3</sup> კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალიძე  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიძე  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი  
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,  
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის  
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების სიის დადგენის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიძე  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მამუკა კუბლაშვილი  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი  
სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძველთა  
დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის  
მოვალეობის შემსრულებელი

8. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალიძე  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი



ბატონი ანტონ ჩიხლაძე  
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი  
 სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო  
 ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი

9. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის № 347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი  
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ანტონ ჩიხლაძე  
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი  
 სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო  
 ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი

**წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს 26-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 22 წევრი, წინააღმდეგი: საკრებულოს 1 წევრი, ქალბატონი ა.კოხრეიძე), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26-ე სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით.

**მ ო ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის პირველი საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი, 2023 წლის 27 დეკემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (დადგენილების პროექტის მე-3 მუხლი გასწორდა რედაქციულად; შეტანილ იქნა ცვლილება დადგენილების №1 დანართში. კერძოდ:

ა) ქვეპროგრამაში „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია“ - ფრაზიდან: „ერთიანი საჭიროების შემთხვევაში“ ამოღებულ იქნა სიტყვა: „ერთიანი“; აქვე, სიტყვების: „თვეში არაუმეტეს 20 სეანსისა“, შეიცვალა სიტყვებით: „თვეში 20 სეანსი“; „გ“ ქვეპუნქტის წინ ამოღებულ იქნა წინადადება: „ალტერნატიული თერაპიების ხანგრძლივობა განისაზღვრება ასევე ბენეფიციარის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით, თითოეული სეანსის უშუალოდ ბავშვთან მუშაობის საქართველოში და საერთაშორისოდ აღიარებული ხანგრძლივობის დაცვით.“; ქვეპროგრამაში, ყველგან, სიტყვები: „გამოყენებითი ქვევითი“, შეიცვალა სიტყვებით: „ქვევის გამოყენებითი“; სიტყვა: „მეთოდოლოგიების“ - სიტყვით: „ინსტრუმენტების“; სიტყვები: „თერაპიის სახე“ - სიტყვებით: „თერაპიის ტიპი“, სიტყვები: „ინტერვენციის ფორმა“ - „ინტერვენციის ტიპით“; „ე“ ქვეპუნქტში, ფრაზაში: „ა(ა)ბ „საქართველოს ქვევის ანალიტიკოსთა ასოციაციის“ მიერ დამტკიცებული ანგარიშების სტანდარტიზებული ფორმის მიხედვით ანგარიშის წარდგენა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურში, აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდგომ ორი თვის განმავლობაში“, სიტყვები: „ორი თვის განმავლობაში“, შეიცვალა სიტყვებით: „ერთი თვის განმავლობაში“. ამავე ქვეპროგრამიდან ამოღებულ იქნა წინადადება: „წლიური გეგმის შესაბამისად, თვეში 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქვევითი ანალიზის თერაპიის სეანსების რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შეადგენს: 1) 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლებსათვის – სეანსების ოდენობის არანაკლებ 70%-სა; 2) 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლებსათვის – სეანსების ოდენობის არანაკლებ 60% - სა; 3) 12-17 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლებსათვის – მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.“ წინადადება: „ინტერვენციის სიხშირე ცვალებადობს 20 საათამდე თვეში და მოიაზრებს ბენეფიციარისათვის სპეციალისტის მიერ პირისპირ ან ჯგუფურად განხორციელებული ინტერვენციის ოდენობას, სუპერვიზიის შეხვედრებისა და მზრუნველის ტრენინგის/ფსიქოგანათლების ჩათვლით“, შეიცვალა წინადადებით: „ინტერვენციები მოიაზრებს ბენეფიციარისათვის სპეციალისტის მიერ პირისპირ ან ჯგუფურად განხორციელებული ინტერვენციის ოდენობას, სუპერვიზიის შეხვედრებისა და მზრუნველის ტრენინგის/ფსიქოგანათლების ჩათვლით.“ ფრაზის: „მისი გაზრდა/შემცირება/შეწყვეტა დამოკიდებულია ინდივიდუალურ საჭიროებებზე“ შემდეგ, ჩაემატა ფრაზა: „დამოუკიდებლად ფუნქციონირების ხარისხსა და

მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებაზე, რაც თანხმდება მშობელთან /მზრუნველთან/ მეურვესთან“. აქვე, ამოღებულ იქნა სიტყვები: „მზრუნველის გადაწყვეტილებაზე“; წინადადებაში: „ქვეპროგრამის ფარგლებში, განვითარების გეგმის მიხედვით გათვალისწინებული სენსიბილურობის დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით, რომლის ღირებულებაც თვეში 420 ლარი“, ჩაემატა რიცხვი: „20“ და აღნიშნული წინადადება ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ქვეპროგრამის ფარგლებში, განვითარების გეგმის მიხედვით გათვალისწინებული 20 სენსიბილურობის დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით, რომლის ღირებულებაც თვეში 420 ლარი.“ ფრაზა: „ბაზისური მომზადების საერთაშორისო ან/და ადგილობრივი კურსი“, შეიცვალა ფრაზით: „საერთაშორისო ან/და ადგილობრივი ბაზისური თეორიული კურსი 40 საათის ხანგრძლივობით“;

ბ) ქვეპროგრამიდან „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება“ - ფრაზა: „ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები - დახმარების მიმღები პირი/ოჯახი, თავშესაფარში შესვლამდე და თავშესაფრის დატოვების შემდეგ რეგისტრირებული უნდა იყოს ქალაქ ქუთაისში“, შეიცვალა ფრაზით: „ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის დახმარების გაწევას“;

გ) შეტანილ იქნა ცვლილება დადგენილების №2 დანართში. კერძოდ, ქვეპროგრამაში: „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება“ - ქვეპროგრამის აღწერის პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფ პირს/ოჯახს, თავშესაფრის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, გაეწევა მატერიალური დახმარება თვეში 200 ლარის ოდენობით.“

დადგენილების პროექტის დანართები გასწორდა სტილისტურად), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ნიშნიანძემ.

(დადგენილების პროექტი  
ოქმს თან ერთვის)

**ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი ხათუნა არველაძე (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისათვის. ცოტა ხნის წინ მერიას მივმართე და გვინდოდა ეს ინიციატივა ბიუჯეტში ასახულიყო. საკითხი ეხება პირველკლასელთა კვებას. მერიამ მოკლე პასუხი გამცა და გადამამისამართა განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროსკენ. ნამდვილად არ გვემლება, ვის უნდა მივმართოთ. ჩვენ ვიცით, რომ მოსწავლეების 35% სრულად შიმშილობს, 65% ნაწილობრივ შიმშილს განიცდის გაკვეთილების პროცესის დროს და ეს იყო ზუსტად იმის მიზეზი, რომ მილიონ ნახევარი ლარი, მთელი სასწავლო წლის მანძილზე, გამოემბნა თვითმმართველობას და პირველკლასელები საპილოტე რეჟიმში დაეკმაყოფილებინა. კიდევ ერთხელ შემოვდივარ ინიციატივით, რომ აღნიშნულ ბიუჯეტში გათვლილი იყოს ეს თანხა. ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, რომ ქალაქის მერი დღეს ამ სხდომას ესწრებოდეს. 161 დღე კი არა, ერთი კვირაც ვერ შეძლებს, რომ მშეირმა იმუშაოს. ჩვენი გულისტკივილია, რომ ამ ბიუჯეტში არ იქნა გათვალისწინებული მილიონ ნახევარი ლარი მთელი წლის განმავლობაში. ალბათ, ამ თემაზე ბატონი იუზა გაგვცემს პასუხს.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „პირველ რიგში, მე გაგვცემთ პასუხს. თქვენ იურისტი ხართ და ჩემგან განსხვავებით უკეთ გესმით, ის პასუხისმგებლობა, რაც გააჩნია თვითმმართველობას ბავშვების მიმართ. ამ საკითხზე ძალიან დიდი მსჯელობაა, რომ მოწესრიგდეს კვების ნაწილი და იყოს სისტემურად მოწესრიგებული. საუბარია, არამხოლოდ უფასო კვებაზე, არამედ, არსებული პირობების გაუმჯობესებაზე, რომ გაუმჯობესდეს სერვისის მიწოდება მოსწავლეებისათვის. ჩვენ მზად ვართ, ადგილობრივი თვითმმართველობა, გვექონდეს ჩვენი თანამონაწილეობა. ეს შეიძლება იყოს მილიონ ნახევარი ლარი, ცოტა მეტი ან ნაკლები. მას შემდეგ რაც განათლების სამინისტრო შეიმუშავებს პოლიტიკას, ვიმსჯელებთ ამ საკითხზე. ეს ინიციატივა, თქვენი და პარტია „საქართველოსათვის“ მიერ წამოყენებული, მზად ვართ, რომ დადებით შედეგამდე მივიყვანოთ. აქ მთავარია, ძირითადი სტრუქტურა რას გადაწყვეტს. მე ვთქვი, რომ გამოწვევები ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნია, სრულად ეს ბიუჯეტი ვერ უპასუხებს იმ გამოწვევებს, რომელიც მოსახლეობას გააჩნია, თორემ მაქსიმალურად ორიენტირებულია მოქალაქეების პრობლემების გადაწყვეტაზე. გამოწვევები ჩვენ დაგვრჩება იგივე სკოლამდელ ასაკში, სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებთან, ინფრასტრუქტურის ნაწილში, მთავარია ის, რომ ჩვენ ამ მიმართულებით ვართ მზარდი. სოციალური და ჯანდაცვითი მუხლი, როდესაც მე შემოვედი თვითმმართველობაში, დაახლოებით 2 მილიონ 800

ათასი ლარი იყო. დამატებით, სადღაც 3 მილიონ 200 ათასამდე იზრდებოდა. დღეს ეს მუხლი შეადგენს 6 მილიონ ნახევარს. აუტისტური სპექტრის ბავშვების მკურნალობა, რომ დავიწყეთ, კერძო სექტორმა მაშინ ძალიან დიდი თანადგომა გაგვიწია და ამ პროგრამის დაფინანსება თავის თავზე აიღო. მაშინ სულ 80 ათას ლარს შეადგენდა და დღეს ეს ბიუჯეტი შეადგენს - 1 მილიონ 750 ათას ლარს. გადახედეთ სტატისტიკას, ადმინისტრაციული ხარჯები შემცირებულია. წელს შეიძლება არაფინანსური აქტივი საკრებულოს ნაწილში გაზრდილია, მაგრამ ეს ემსახურება მოქალაქეების საუკეთესო ინტერესებს, საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომი რომ იყოს მათთვის, მათ შორის ინდექსიდან გამომდინარე. შედარება რომ ავიღოთ დღევანდელ და ორი წლის წინანდელ ვითარებაზე, წვდომა საჯარო ინფორმაციაზე გაზრდილია. ვებ გვერდის მოცემულობა ტექნიკურად არ აძლევს მოქალაქეებს საშუალებას, ინფორმაცია მიიღონ. ამიტომ გავზარდეთ არაფინანსური აქტივი. სწორედ ასეთ საჭიროებაზე ვსაუბრობთ ჩვენ და იმიტომ ვზრდით, თორემ სტატისტიკურად, რომ ავიღოთ ადმინისტრაციული ხარჯები არის შემცირებული. გახსოვთ, პანდემიის პერიოდში საკრებულომ შეამცირა ადმინისტრაციული ხარჯი, ასევე, მერიამ და ეს რესურსი მივმართეთ მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარებისაკენ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე**: „ძალიან კარგი საკითხია, მაგრამ თვითმმართველობის ჩართულობა მე წარმოუდგენლად მიმაჩნია. ეს უნდა მოხდეს ცენტრალიზებულად. ყველა ბავშვს ინდივიდუალური კვება აქვს. ზოგიერთს დიაბეტი აწუხებს, ზოგს - სხვა პრობლემა. საკვები ფრთხილად უნდა შეირჩეს და თვითმმართველობა ამას ვერ გააკეთებს. ეს ძალიან რთული საკითხია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ჩვენი ინიციატივაა ბარათზე ფულის დარიცხვა და ბავშვი, რასაც უნდა მიირთმევს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე**: „ეს საკითხი იდგა დღის წესრიგში 2016 წელს პარლამენტშიც. მიმდინარეობდა მუშაობა განათლების სამინისტროსთან

ერთად და ვიმედოვნებთ, რომ საბოლოო შედეგს მივალწევთ. ვიმეორებ, რომ საკითხი არის ძალიან ფაქიზი და გასააზრებელი. ეს ძალიან რთული იქნება თვითმმართველობისათვის.“

